# ტესტი ისტორიაში

## I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.**

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელმა ტომმა აიღო და გაძარცვა რომი V საუკუნის 50-იან წლებში?

ა) გალების;

ბ) ვანდალების;

გ) ოსტგოთების;

დ) ჰუნების.

(1) 2. რომელი ფაქტია მართებული VII მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ?

ა) დაიგმო ხატმებრძოლეობა;

ბ) გაუქმდა ანტიოქიის საპატრიარქო;

გ) დადასტურდა რომის პაპთან საეკლესიო კავშირის გაწყვეტა;

დ) დამტკიცდა იერუსალიმის პატრიარქის უზენაესობა ქრისტიანულ სამყაროში.

(1) 3. რომელი ინფორმაციაა მართებული არაბთა სახალიფოს შესახებ?

ა) არაბთა სახალიფოს ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა სელჩუკთა არისტოკრატიამ;

ბ) არაბთა სახალიფოში მიმდინარე სამოქალაქო ომის ერთ-ერთი შედეგი ისლამში ორი მიმდინარეობის - სუნიზმისა და შიიზმის ჩამოყალიბება იყო;

გ) წარმართების დამარცხებისა და მექაში დაბრუნების შემდეგ მუჰამედი ხალიფად გამოაცხადეს;

დ) არაბთა სახალიფოს გამოეყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული ცენტრით ადრიანოპოლში, რომელიც ოსმანთა დინასტიის წარმომადგენელმა დააარსა.

(1) **4. რა უკავშირდება აშოტ კურაპალატის მოღვაწეობას?**

ა) ერისმთავრობის აღდგენა ქართლში;

ბ) ოშკისა და ალავერდის კათედრალების აგება;

გ) ხაზართა დამარცხება და კავკასიიდან საბოლოო განდევნა;

დ) ტაო-კლარჯეთში დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება.

(1) **5. რომელი მსჯელობაა მართებული ერთ-ერთი სარაინდო ორდენის შესახებ?**

ა) ჯვაროსანთა სახელმწიფოების დაცემის შემდეგ, რომის პაპის განკარგულებით, კალატრავას სარაინდო ორდენი გაუქმდა, ხოლო მისი ქონება პაპსა და ევროპელ მონარქებს შორის განაწილდა;

ბ) წმინდა მიწაზე ჯვაროსანთა სამფლობელოების დაკარგვის შემდეგ ჰოსპიტალიერები ხმელთაშუა ზღვის სხვადასხვა კუნძულზე მოღვაწეობდნენ, საბოლოოდ კი მალტაზე დამკვიდრდნენ;

გ) იერუსალიმის სამეფოს დაცემის შემდეგ ტევტონთა ორდენის წევრები მცირე აზიაში გადასახლდნენ და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ახალი სახელმწიფო დააარსეს;

დ) ტამპლიერების სარაინდო ორდენი, რომის პაპის ინიციატივით, გერმანული ტომებისა და ჰუნების თავდასხმებისაგან იტალიის დასაცავად დაფუძნდა.

(1) **6. რომელი მოვლენა *<u>არ</u> <u>უკავშირდება</u>* თამარ მეფის მმართველობის ხანას?**

ა) ლაშქრობა ჩრდილოეთ ირანში;

ბ) რუმის სულთნის დამარცხება;

გ) ტრაპიზონის იმპერიის შექმნა;

დ) შირიმნის ბრძოლაში გამარჯვება.

(1) 7. რომელი ინფორმაციაა მართებული საქართველოში თემურ ლენგის პირველი ლაშქრობის შესახებ?

ა) დაარბია დასავლეთ საქართველო;

ბ) გაიმარჯვა სოხოისტას ბრძოლაში;

გ) აიღო ქალაქი თბილისი;

დ) დაატყვევა მეფე გიორგი VIII.

(1) **8. რომელი მსჯელობაა მართებული XV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ?**

ა) ალექსანდრე I-ის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და აღმშენებლობითი საქმიანობის შედეგად სამეფოში ვითარება დროებით გამოსწორდა;

ბ) მრავალწლიანი შიდაფეოდალური დაპირისპირების შემდეგ ვახტანგ II-ის დროს ერთიანი სამეფო საბოლოოდ დაიშალა;

გ) დემეტრე II-ის მეფობისას აღდგა საქართველოს სამეფოს ძლევამოსილება კავკასიასა და წინა აზიაში;

დ) გიორგი V-მ ისარგებლა ოქროს ურდოს დაშლით, განდევნა მონღოლები და სამეფოს ერთიანობა აღადგინა.

(1) 9. რომელი მსჯელობაა მართებული ევროპაში აღორძინების ხანის შესახებ?

ა) განსაკუთრებით გაიზარდა ანტიკური კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესება;

ბ) სახელმწიფო მოღვაწეთა უმეტესობა მონარქიული წყობის გაუქმებას და კლასობრივ თანასწორობას მოითხოვდა;

გ) საფუძველი იტალიაში ჩაეყარა, რაც ვენეციის რესპუბლიკის მიერ იტალიის პოლიტიკურმა გაერთიანებამ განაპირობა;

დ) ევროპაში მწიგნობრობისა და კულტურის ერთადერთ მიღებულ ენად ლათინური დამკვიდრდა.

(1) **10. რა ვალდებულება აიღო ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის იმპერიის წინაშე გეორგიევსკის ტრაქტატით?**

ა) ტახტის მემკვიდრე რუსეთის იმპერატორის კარზე უნდა აღზრდილიყო;

ბ) საგარეო პოლიტიკა რუსეთთან შეთანხმებით უნდა წარემართა;

გ) ყოველწლიური ფულადი ხარკი უნდა გადაეხადა რუსეთისათვის;

დ) ერევნისა და განჯის სახანოები რუსეთისათვის უნდა გადაეცა.

(1) 11. რომელ სახელმწიფოს უპირისპირდებოდა რუსეთის იმპერია 1826-1828 წლების ომში?

ა) ოსმალეთს;

ბ) სომხეთს;

გ) ირანს;

დ) აზერბაიჯანს.

(1) 12. რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საფრანგეთის მეორე რესპუბლიკის დროს?

ა) დაიშალა დირექტორია;

ბ) აღდგა იაკობინელთა კონვენტი;

გ) გაუქმდა გენერალური შტატები;

დ) ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები.

(1) **13. რომელ რეგიონში აწარმოებდა ომს რუსეთის იმპერია 1904-1905 წლებში?**

ა) ცენტრალურ აზიაში;

ბ) შორეულ აღმოსავლეთში;

გ) მცირე აზიაში;

დ) ახლო აღმოსავლეთში.

(1) 14. ვის უკავშირდება რეფორმების გატარება თურქეთში XX საუკუნის 20-30-იან წლებში?

ა) ენვერ ფაშას;

ბ) აბდელ ნასერს;

გ) მუსტაფა ქემალს;

დ) ამანულა ხანს.

(1) **15. სხვა მიზეზებთან ერთად რამ აიძულა იტალიის მეფე 1922 წელს ბენიტო მუსოლინი იტალიის პრემიერ-მინისტრად, ანუ მთავრობის მეთაურად დაენიშნა?**

ა) ნაცისტური გერმანიის ულტიმატუმმა;

ბ) საერთო ეროვნული რეფერენდუმის შედეგებმა;

გ) კომუნისტების აჯანყების საფრთხემ;

დ) სამოქალაქო ომის დაწყების შიშმა.

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.**

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) **16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სასანიანთა ირანის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.**

1. არაბთა მიერ ქტესიფონის აღება
2. შაჰ პეროზის ლაშქრობა შუა აზიაში
3. ხოსრო I-ის რეფორმები

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVI-XVIII საუკუნეებში მომხდარი რევოლუციები მათი დაწყების დროის მიხედვით.

1. ინგლისის რევოლუცია
2. საფრანგეთის რევოლუცია
3. ნიდერლანდების რევოლუცია

(1) **18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ცივი ომის ეპოქაში მომხდარი მოვლენები.**

1. „ვარშავის პაქტის“ ანუ „ვარშავის ხელშეკრულების“ სახელმწიფოების გაერთიანების შექმნა
2. უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში
3. „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ ანუ ნატო-ს შექმნა

**ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.**

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ წყაროებში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე







ტექსტი იხილეთ შემდეგ გვერდზე

1448 წელს სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცებისაგან შემდგარი ევროპელთა არმია ოსმალებთან საბრძოლველად დაიძრა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს კოსოვოს ველზე შეხვდნენ, სადაც ევროპელებმა გამაგრებული ბანაკი დადგეს. 18 ოქტომბერს ევროპელებმა ოსმალთა ფლანგებს შეუტიეს და მტერი უკუაგდეს. ევროპელთა მხედართმთავარმა გადაწყვიტა ესარგებლა მიღწეული წარმატებით და მომდევნო იერიში მოწინააღმდეგის ცენტრზე მიიტანა, რაშიც პირადად ჩაერთო. ოსმალო მშვილდოსნებმა ვერ გაუძლეს შეტევას და დაიფანტნენ. საპასუხოდ სულთანმა ბრძოლაში თავისი ჯარის სხვა სახეობის შენაერთები ჩართო, ისინი, რომლებიც ოსმალთა არმიაში ყველაზე ბრძოლისუნარიანად მიიჩნეოდნენ. მათ ცენტრში ევროპელთა წინსვლა შეაჩერეს და მოწინააღმდეგე აიძულეს, უკან დაეხია. ამასობაში ოსმალებმა ფლანგებზეც შეძლეს ბრძოლის მსვლელობის შემოტრიალება, მათ თურაჰან-ბეის ხელმძღვანელობით ევროპელების ერთ-ერთ ფლანგს შეუმჩნევლად შემოუარეს და ზურგიდან დაესხნენ თავს. ვლახებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს, სხვებმა კი უკან დაიხიეს. დღის ბოლოს, ბრძოლაში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ, ევროპელთა არმიის უმეტესობამ ბრძოლის ველი დატოვა, ხოლო მეორე ნაწილმა თავი გამაგრებულ ბანაკს შეაფარა. 19 ოქტომბერს ბრძოლა განახლდა. ოსმალები გარს შემოერტყნენ ევროპელთა გამაგრებულ ბანაკს და შეტევაზე გადავიდნენ, რომელიც ერთ-ერთი მეომარი მხარის უკლებლივ ყველა ჯარისკაცის დაღუპვის შემდეგღა დასრულდა.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

## კითხვები:

(1) **19.1.** ევროპელთა არმიის რომელ ფლანგზე იბრძოდნენ ვლახები?

(1) **19.2.** კონკრეტულად რომელი სახეობის შენაერთები მიიჩნეოდა ყველაზე ბრძოლისუნარიანად ოსმალთა არმიაში?

(1) **19.3.** კონკრეტულად რაში გამოიხატა ვლახების მიერ წინააღმდეგობის შეწყვეტა თურაჰან-ბეის შეტევის შემდეგ?

(1) **19.4.** ოსმალთა არმიის რომელი სახეობის შენაერთებმა მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში მხოლოდ პირველ დღეს, 18 ოქტომბერს?

(2) **19.5.** სრულად ჩამოთვალეთ, რომელი ეროვნებების უკლებლივ ყველა ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლაში.

**ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.**

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

**დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

წარწერა ილუსტრაციაზე ინგლისურად -

დეკემბერი 7, 1941 (ქვემოთ)

მისი სიმამაცე დაუვიწყარია (დიაგონალურად)

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

## კითხვები:

(2) **20.1.** რა ეწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს განხორციელებულ სამხედრო ოპერაციას, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდი ასახულია ილუსტრაციაზე? ბეჭდურ პროდუქციაზე მოცემული რომელი კონკრეტული ინფორმაცია ასაბუთებს თქვენს პასუხს?

(2) **20.2.** რა არის ილუსტრაციაზე ასახული ბეჭდური პროდუქციის მთავარი იდეა? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე მოცემული კონკრეტული ინფორმაციით.

(1) **20.3.** რა სახის ბეჭდური პროდუქციაა ასახული ილუსტრაციაზე?

**ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.**

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

**რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**




კითხვები იხილეთ

შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

(1) **21.1.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომლის ლაშქრობებისა და ტერიტორიული გაფართოების ეტაპებია ასახული რუკაზე?

(1) **21.2.** დაასახელეთ რუკაზე აღნიშნული ტომი, რომელმაც სრულად შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

(2) **21.3.** რუკის მიხედვით, რომელმა ტომმა დაკარგა თავისუფლება 772-804 წლებში და, გარდა ბრძოლაში დამარცხებისა და დაპყრობისა, კიდევ რა მოიმოქმედა ამ ტომის მიმართ რუკაზე აღნიშნულმა სახელმწიფომ?

(2) **21.4.** რუკის მიხედვით სრულად ჩამოთვალეთ ქალაქები, რომლებიც ალყის შედეგად აიღეს.

(2) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი რეგიონები შევიდა რუკაზე აღნიშნული სახელმწიფოს შემადგენლობაში მისი გაფართოების პირველ ეტაპზე?

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22.** ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

22.1 და 22.2 კითხვებზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი და შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.
22.3 და 22.4 დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.
22.5 დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

## დავალება 22.

ძველი მსოფლიოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ბერძნული კოლონიზაცია.

### კითხვები:

(1) **22.1.** დაასახელეთ ბერძნული კოლონიზაციის ერთი კონკრეტული **სოციალურ-ეკონომიკური** მიზეზი.

(1) **22.2.** დაასახელეთ ბერძნული კოლონიზაციის ერთი **პოლიტიკური** შედეგი, უშუალოდ კონკრეტული კოლონიების დაარსების გარდა.

(1) **22.3.** დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ბერძნული კოლონიზაცია დადებითი შედეგის მომტანი, თავად ბერძნების გარდა და რატომ? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **22.4.** დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ბერძნული კოლონიზაცია უარყოფითი შედეგის მომტანი და რატომ? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **22.5.** ძველი მსოფლიოს ისტორიაში დაასახელეთ ბერძნული კოლონიზაციის ანალოგიური მოვლენა და მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

**ინსტრუქცია დავალებისათვის №23.**

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

## დავალება 23. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

## 22 ივლისი 1921 წელი. მოხსენებითი ბარათი საქართველოში არსებული ვითარების შესახებ

მუშათა მასები საქართველოში ძალიან უკმაყოფილონი არიან ბოლშევიკური პარტიის ხელისუფლების.

მუშათა შორის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია სახელმწიფო დაწესებულებებისა და დიდი საწარმოების რუსიფიკაციამ. პროტესტის ნიშნად მუშებმა სცადეს მათი ბოიკოტირება, მაგრამ ამას შედეგად მოჰყვა მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები და მუშათა კომიტეტების გაუქმება.

ხელფასის შემცირება, მკაცრი კონტროლის დაწესება, სავალდებულო მუშაობა სადღესასწაულო დღეებში, კოლექტიური პასუხისმგებლობა მანქანა-დანადგარების, იარაღის განადგურებასა და მოპარვაზე - აი, უკმაყოფილების მთავარი მიზეზები. მიტინგები არ არის ნებადართული. ხელისუფლების ნებართვის გარეშე შეკრების გამო დამნაშავეებს გადასცემენ სამხედრო ტრიბუნალს.

რკინიგზა, ტელეგრაფი და ტელეფონი გასამხედროებულია. აქ მომუშავენი, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ექვემდებარებიან მკაცრ სამხედრო დისციპლინას.

ასევე უნდა დავამატო, რომ მუშები შიმშილობენ და არ შეუძლიათ პროტესტის გამოხატვა.

თბილისის არსენალი გადაქცეულია დიდ სახელოსნოდ, სადაც არემონტებენ არტილერიას, იარაღს, ტანკებს და სხვ.

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

**გადასვლა კითხვებზე:** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

სარკინიგზო სახელოსნოებში, სხვა სამუშაოებთან ერთად, საგანგებო რეჟიმით არემონტებენ ჯავშანმატარებლებს. ამ სამუშაოებისათვის სპეციალისტები ჩამოიყვანეს რუსეთიდან. ამავე დროს ეს სამუშაოები უშედეგოა ჯავშანმატარებლებისათვის საჭირო ფოლადის არარსებობის გამო. ყველა ის ვაგონი, რომლებიც კი გამოდგებოდა ჯავშანმატარებლებისათვის საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ერთად შეაგროვეს თბილისში.

მოქმედი მთავრობის, რომელსაც სახალხო კომისართა საბჭო ეწოდება, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ითვლება საქართველოში ვაჭრობის განვითარება. ამ მიზნით თბილისში შექმნილია სპეციალური კომისია იმპორტის, ძირითადად პურის, გაზრდისათვის.

**გადასვლა კითხვებზე:** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

საბჭოთა ხელისუფლება გერმანიასთან ვაჭრობს მანგანუმით (მარგანეცი). გერმანიას არ შეუძლია ღიად შეიძინოს მანგანუმი და გადაზიდოს გერმანიაში. ამ ვაჭრობით დაკავებულია ჰოლანდია. მანგანუმი მნიშ-ვნელოვანი ნედლეულია სამხედრო წარმოებისათვის. ომამდე საქართველოში მოიპოვებოდა მსოფლიო მანგანუმის 75 პროცენტი. მანგანუმის სანაცვლოდ მიღებული ვალუტით საქართველოს ხელისუფლება ყიდულობს საკვებ პროდუქტს, ძირითადად ფქვილს იტალიისგან. გემები, რომლებსაც მანგანუმი გადააქვს, ეკუთვნის ნორვეგიას. მანგანუმი გადააქვთ როტერდამში და იქიდან უკვე გერმანიაში.

ივნისში ფართოდ გავრცელდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) მოწოდება ყველა ძალების გაერთიანებისა და ერთობლივი ბრძოლის შესახებ.

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

კიდევ უფრო იზრდება მოსახლეობის უკმაყოფილება მოსალოდნელი შიმშილობის ფონზე.

გავრცელებულია რეკვიზიცია ანუ ხელისუფლება აუცილებელი საჭიროების მომიზეზებით იძულებით ართმევს მოსახლეობას მოსავალს. ამ რეკვიზიციის საფრთხის გამო მოსახლეობა არ იღებს მოწეულ ხორბალს, ხოლო იქ, სადაც ბოლშევიკები მოსავლის აღებას თავისით ცდილობენ, მოსახლეობა მოსავალს წვავს.

**გადასვლა კითხვებზე:** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

წელს დათესილია 30 პროცენტით ნაკლები მიწის ფართობი, ვიდრე შარშან. სამომავლოდ კი მოსალოდნელია შიმშილობა, რადგან სოფლად მოსახლეობას აღარ ექნება მარცვლეულის დასათესი თესლიც კი.

ყველგან დიდი სიძვირეა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ერთი ფუთი, ანუ დაახლოებით 16 კილოგრამი სიმინდის ფქვილი 55 ათასი მანეთი ღირს.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

დოკუმენტი პოლონეთის ახალი ისტორიის არქივიდან, ფონდი 1190, საქმე 616-27, გვ. 76-77

## კითხვები:

(1) **23.1.** თქვენი აზრით, რატომ დაწესდა კოლექტიური და არა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მანქანა-დანადგარებისა და იარაღის განადგურებასა და მოპარვაზე?

(1) **23.2.** სრულად დაასახელეთ, რომელი სახელმწიფოები მონაწილეობდა მანგანუმის გადაზიდვაში როტერდამამდე.

(1) **23.3.** დოკუმენტის მიხედვით, სარკინიგზო სახელოსნოებში რა კონკრეტული სამუშაოსათვის ჩამოიყვანეს სპეციალისტები რუსეთიდან?

(1) **23.4.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ იყო სარკინიგზო სახელოსნოებში მიმდინარე სამუშაოები უშედეგო?

**გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე**

**გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე**

**გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე**

(1) **23.5.** თქვენი აზრით, რა მიზანს ისახავდა „ერთობლივი ბრძოლა“, რომლისკენაც მოუწოდებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია?

(1) **23.6.** დოკუმენტის მიხედვით, რას ყიდულობდა საქართველოს ხელისუფლება მანგანუმის გაყიდვით მიღებული შემოსავლით?

(1) **23.7.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ არ იღებდა მოსახლეობა მოწეულ მოსავალს?

(2) **23.8.** დოკუმენტის მიხედვით, რა გადაწყვეტილება მიიღო ხელისუფლებამ მუშათა ორგანიზაციებთან დაკავშირებით და თქვენი აზრით, რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) 23.9. დოკუმენტის მიხედვით, რის უფლება არ ჰქონდათ მუშებს ხელისუფლების ნებართვის გარეშე და რა ემუქრებოდათ დარღვევის შემთხვევაში?

(2) 23.10. დოკუმენტის მიხედვით, რა იყო გასამხედროებული და რატომ?

(2) 23.11. დოკუმენტის მიხედვით, რა ეწოდებოდა იმ დროს საქართველოს მთავრობას და რომელი პარტიის წევრები შედიოდნენ მასში?

(2) 23.12. დოკუმენტის მიხედვით, როგორი იყო სამომავლო, კონკრეტული პროგნოზი მარცვლეულის მოსავალთან დაკავშირებით და რა იყო ამის მიზეზი?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე